სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2018 წლის 1 მაისის #99/01/01 ბრძანების საფუძველზე ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე გეოლოგიის დეპარტამენტის **მინერალოგია-პეტროლოგიისა და სასარგებლო წიაღისეულისა** და **რეგიონული გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის** კათედრებზე **პროფესორის** სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 14 მაისის №127/2018 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი (შემაჯამებელი) #3

ქ. თბილისი 4 ივლისი, 2018 წელი 14:00 სთ

სხდომას ესწრებოდა კომისიის სრული შემადგენლობა:

1. დავით შენგელია - თსუ-ს ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტის პეტროლოგიის, ვულკანოლოგიის, მინერალოგიისა და ლითოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (კომისიის თავმჯდომარე);
2. ნანა ხუნდაძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების დეპარტამენტის პროფესორი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);
3. მარიამ ახალკაციშვილი - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოლოგიის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი (კომისიის მდივანი);
4. გიორგი ჭიჭინაძე - თსუ-ს ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი.

დღის წესრიგი:

1. სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე გეოლოგიის დეპარტამენტის **მინერალოგია-პეტროლოგიისა და სასარგებლო წიაღისეულისა** და **რეგიონული გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის** კათედრებზე **პროფესორების** სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსის შედეგების შეჯამება და გამარჯვებული კანდიდატების გამოვლენა;
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსათვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის დ.შენგელიას ინფორმაცია კომისიის მიერ კონკურსის თითოეული ეტაპის შედეგების განხილვის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების და კონკურსის შედეგების შეჯამების შესახებ.

მან აღნიშნა რომ თსუ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 14 მაისის №127/2018 დადგენილების საფუძველზე შექმნილ საკონკურსო კომისიას საბუთები გადაეცა დალუქულ მდგომარეობაში და კომისია შეუდგა მუშაობას. გეოლოგიის დეპარტამენტის **მინერალოგია-პეტროლოგიისა და სასარგებლო წიაღისეულის კათედრაზე პროფესორის** 1 ვაკანსიაზე განცხადება შემოიტანა ერთმა კანდიდატმა **ბეჟან თუთბერიძემ** და **რეგიონული გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის** კათედრაზე **პროფესორის** 1 ვაკანსიაზე განცხადება შემოიტანა ერთმა კანდიდატმა **დავით ლორთქიფანიძემ.**

კონკურსანტების შეფასება მოხდა ორ ეტაპად. შეფასების I ეტაპზე შემოწმდა საკონკურსო დოკუმენტაცია, შეფასდა კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი კონკურსანტის ანკეტაში მოყვანილი ინფორმაცია კონკურსანტის შეფასების ფორმის მიხედვით (დანართი N4, დადგენილება #45/2017, 01.05.2017).

1. **მინერალოგია-პეტროლოგიისა და სასარგებლო წიაღისეულის კათედრის კონკურსანტის ბეჟან თუთბერიძის შეფასება**

შეფასების **I კატეგორიის** *(„ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან")* მიხედვით კონკურსანტის განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, სამსახურეობრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით შეესაბამება ვაკანსიის პროფილს და მიიღო შეფასება **,,კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს".**

შეფასების **II კატეგორია** *(,,პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან")* კომისიის მიერ შეფასდა კრიტერიუმით - **„მაღალი".** კონკურსანტის პედაგოგიური მოღვაწეობა, წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულ შესაბამისობაშია თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებთან, პროფილის მიხედვით თსუ-ში წაკითხული კურსები გეოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების კურსებს წარმოადგენს, როგორც სავალდებულოს, ასევე არჩევითს.

კონკურანტის სამეცნიერო –კვლევითი საქმიანობის, იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში წარმოდგენილი სტატიების, საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებზე გაკეთებული მოხსენებების, საგრანტო/სახელშეკრულებო პროექტებში მონაწილეობის, კონკურსანტის მიერ საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი მაღალ სამეცნიერო დონეზე შესრულებული ერთი გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომისა და კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი კონცეფციის გათვალისწინებით **III კატეგორია** *(,,სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა")* კომისიამ შეაფასა **"მაღალი"** შეფასებით.

IV კატეგორიაში *(,,ბოლო 6 წელიწადში სხვა სახის აქტივობა" და ,,დამატებითი ინფორმაცია")* კონკურსანტი წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით /გეოლოგიის საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელობა, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობა, სამეცნიერო კონფერენციებზე სტუდენტთა მოხსენებების ხელმძღვანელობა, თსუ წარმომადგენლობითი საბჭოს, ფაკულტეტის საბჭოს წევრობა, დეპარტამენტის ხელმძღვანელობა, უცხო ენების ცოდნა, კომპიუტერული პროგრამების ფლობა და სხვ./ შეფასდა კრიტერიუმით - **„მაღალი".**

კომისიის აზრით კონკურსანტის გამოცდილება და საქმიანობა ხელს შეუწყობს კვლევითი და სასწავლო პოტენციალის გაძლიერებას, სტუდენტთა ჩართვას სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში.

2. **რეგიონული გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის** კათედრის კონკურსანტის **დავით ლორთქიფანიძის შეფასება.**

შეფასების **I კატეგორიის** *(„ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან")* მიხედვით კონკურსანტის განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, სამსახურეობრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით შეფასდა კრიტერიუმით **,,კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს".**

შეფასების **II კატეგორია** *(,,პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან")* კომისიის მიერ შეფასდა კრიტერიუმით - **„მაღალი".**

შეფასების III კატეგორია *(,,სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა")* წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე /კონკურანტის სამეცნიერო –კვლევითი საქმიანობის, იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში წარმოდგენილი სტატიების, მაღალი ბიბლიომეტრიული მაჩვენებლების, საერთაშორისო კონფერენციებზე გაკეთებული მოხსენებების, საგრანტო/სახელშეკრულებო პროექტებში მონაწილეობის, უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან თანამშრომლობის, კონკურსანტის მიერ საკონკურსო კომისიისათვის მაღალ სამეცნიერო დონეზე შესრულებული შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომისა და კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი კონცეფციის გათვალისწინებით/ კომისიის მიერ კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით **"მაღალი"**.

IV კატეგორიაში *(,,ბოლო 6 წელიწადში სხვა სახის აქტივობა" და ,,დამატებითი ინფორმაცია")* კონკურსანტის მონაცემების მიხედვით /საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ–კორესპონდენტი, ხელოვნებისა და მეცნიერების მსოფლიო აკადემიის(WAAS, აშშ) ნამდვილი წევრი, აშშ-ის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრი, ჰუმბოლტის პრემიის ლაურიატი, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი, სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელი, უცხო ენების ცოდნა, კომპიუტერული პროგრამების ფლობა და სხვ./ შეფასდა კრიტერიუმით - **„მაღალი".**

კომისიის აზრით კონკურსანტის გამოცდილება და საქმიანობა ხელს შეუწყობს კვლევითი და სასწავლო პოტენციალის გაძლიერებას, სტუდენტთა ჩართვას სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში.

კონკურსანტებს მიენიჭა პრეტენდენტის სტატუსი და გადავიდნენ შეფასების მეორე ეტაპზე, გასაუბრებაზე.

გასაუბრება ჩატარდა კითხვა-პასუხის სახით. კომისიის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს პრეტენდენტებმა ამომწურავად უპასუხეს. გასაუბრების შედეგების მიხედვით დადასტურდა რომ პრეტენდენტები სამუშაო გამოცდილებით, ერუდიციით და პროფესიონალიზმით, პროფესიული უნარ-ჩვევებით, გადმოცემის უნარით, ქცევისა და მეტყველების მანერით, უნივერსიტეტის სტრუქტურისა და მართვის სისტემის ცოდნით შეესაბამება საკონკურსო თანამდებობას და ორივე ღირსეული კანდიდატურაა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე გეოლოგიის დეპარტამენტის **მინერალოგია-პეტროლოგიისა და**

სასარგებლო წიაღისეულის კათედრაზე და **რეგიონული გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის** კათედრაზე **პროფესორის** თანამდებობის დასაკავებლად.

მოქმედი დებულების თანახმად ჩატარდა ფარული კენჭისყრა. კენჭისყრის შედეგების მიხედვით კომისიის ოთხივე წევრმა ერთხმად (მომხრე -4, წინააღმდეგი -0) დაუჭირა მხარი თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე გეოლოგიის დეპარტამენტის **მინერალოგია-პეტროლოგიისა და სასარგებლო წიაღისეულის** კათედრის **პროფესორის** თანამდებობაზე **ბეჟან თუთბერიძის** და **რეგიონული გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის** კათედრის პროფესორის თანამდებობაზე **დავით ლორთქიფანიძის** კანდიდატურის გამარჯვებულად გამოვლენას.

დაადგინეს:

1. თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე გეოლოგიის დეპარტამენტის **მინერალოგია-პეტროლოგიისა და სასარგებლო წიაღისეულის (1 ადგილი) და რეგიონული გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის** (1 ადგილი) კათედრებზე **პროფესორის** თანამდებობაზე სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსის **I** და **II** ეტაპის შედეგების შეჯამებითა და ფარული კენჭისყრის ბიულეტენების დათვლის შედეგად (მომხრე-4, წინააღმდეგი-0), გამარჯვებულად გამოვლინდა შემდეგი კანდიდატები:

   მინერალოგია-პეტროლოგიისა და სასარგებლო წიაღისეულის კათედრა
   ბეჟან თუთბერიძე /პროფესორი/

   რეგიონული გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის კათედრა
   დავით ლორთქიფანიოძე /პროფესორი/

2. შემაჯამებელი ოქმი დასამტკიცებლად გადაეცეს თსუ აკადემიურ საბჭოს.

კომისიის წევრები:

დავით შენგელია (კომისიის თავმჯდომარე);

ნანა ხუნდაძე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე)

მარიამ ახალკაციშვილი (კომისიის მდივანი)

გიორგი ჭიჭინაძე (კომისიის წევრი)